ხელშეკრულება №62

საარქივო მომსახურების გაწევის შესახებ

თბილისი 11 მაისი 2015 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ ეროვნული არქივი (შემდგომში „შემსრულებელი“) მდებარე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №1, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, თეონა იაშვილის სახით და მეორე მხრივ, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (შემდგომში „დამკვეთი") მდებარე: თბილისი, ლ. გუდიაშვილის ქ. N7, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, მირიან ხოსიტაშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით შემსრულებელი იღებს ვალდებულებას დამკვეთს გაუწიოს საარქივო მომსახურება (CPV-92500000) - მიაწოდოს მოთხოვნის შესაბამისად, ეროვნული არქივში დაცული საარქივო დოკუმენტები, ელექტრონული სახით;

1.2. წინამდებარე ხელშეკრულებით დამკვეთი ვალდებულია გადაიხადოს შემსრულებლის მიერ გაწეული საარქივო მომსახურების საფასური, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე;

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 397.70 (სამას ოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და სამოცდაათი თეთრი) ლარს;

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება მიღება ჩაბარების აქტისა და ანგარიფაქტურის საფუძველზე;

2.3. გაანგარიშებისას გამოიყენება ,,საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N506 დადგენილება.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;

3.2. უნაღდო ანგარისწორება ხორციელდება კანონმდებლობით დადაგენილი წესით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემსრულებელი ვალდებულია:

ა) გაუწიოს საარქივო მომსახურება დამკვეთს სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით 2015 წლის 15 მაისის ჩათვლით;

ბ) შეუქმნას დამკვეთს სათანადო პირობები წინამდებარე ხელშეკრულებით დათქმული სამუშაოს ჯეროვნად შესრულებაში;

4.2 შემსრულებელი უფლებამოსილია:

ა) მოთხოვოს დამკვეთს უზრუნველყოს შემსრულებელის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 და მე-3 მუხლით დათქმული პირობების დაცვით;

4.3 დამკვეთი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შემსრულებელის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 და მე-3 მუხლით დათქმული პირობების დაცვით;

ბ) არ გადასცეს მესამე პირებს შემსრულებლის მიერ მიწოდებული მასალა და მისი გამოყენების შემთხვევაში მიუთითოს დედნის შენახვის ადგილი;

4.4 დამკვეთი უფლებამოსილია:

მოთხოვოს შემსრულებელს განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით წინამდებარე ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები;

5.2. თუ რაიმე, წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი მოსაზრებები წერილობითი ფორმით;

5.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წინამდებარე ხელშეკრულების დანართის სახით.

6. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

6.1. მხარეებს შეუძლიათ ვადამდე შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

ა) დამკვეთი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ აღმოჩნდა, რომ შემსრულებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით დათქმული პირობების დაცვას;

ბ) შემსრულებელი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება დამკვეთის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არ შესრულების ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში;

გ) წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი მოსაზრებები წერილობითი ფორმით არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

7. ფორს-მაჟორი

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარომო სანქციების გამოყენებას თუ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მისი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსრულებელსა და/ან დამკვეთის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. ფორს–მაჟორული პირობების გარდა, დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის

შემთხვევაში დამკვეთი ყოველი დაგვიანებული კვირისათვის შემსრულებელს უხდის პირგასამტეხლოს წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

8.2. საჯარიმო სანქციების გადახადა არ ათავისუფლებს დამკვეთს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან;

9. დავის გადაწყვეტა

9.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით;

9.2. ურთიერთშეთანხმებით დავის გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია დავის გადასაჭრელად დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 15 ივნისის ჩათვლით.

11. დასკვნითი დებულებები

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია, განიმარტება და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით;

11.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამი თანაბარი მნიშვნელობის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა დამკვეთს, ორი კი შემსრულებელს.

12. მხარეთა რეკვიზიტები

შემსრულებელი:	დამკვეთი:
სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი	საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
საიდ. კოდი 211358957	საიდ. კოდი: 203845018
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დას.: ხაზინის ერთიანი ანგარიში	ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: 7 0744 7080	ანგარიშის ნომერი№200122900
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N1	თბილისი, ლ. გუდიაშვილის N7
ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი	ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
თეონა იაშვილი	მირიან ხოსიტაშვილი